ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს

საბურთალოს რ-ნის ონიაშვილის ქუჩის მაცხოვრებლების

განცხადება

მიუხედავად ჩვენი უმორჩილესი თხოვნისა და დიდი მცდელობისა, გაგეთვალისწინებინათ უბნის მაცხოვრებლების შეშფოთება, არსებულ უბანში მიმდინარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით, კერძოს ონიაშვილის #47-ში, თქვენმა სამსახურმა გარკვეული მნიშვნელოვანი საკითხების იგნორირებით და პრაქტიკულად არასწორი მონაცემებით შედგენილი და წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე შეათანხმეთ და გაეცით მშენებლობის ნებართვა (ბრძანება #1210066)

კერძოდ, თქვენ არ გაითვალისწინეთ ონიაშვილის ქუჩის გამავლობა და გაბარიტები. (სიგანე წითელ ხაზებს შორის 14 მეტრი) აქ ორი ავტომობილი გვერდს ვერ უვლის ერთმანეთს. პროექტში მოცემული არასწორი ანაზომებითა და დასკვნებით დაამტკიცეთ კოეფიციენტი 3,5 (გარკვეული საფასურის სანაცვლოდ) რაც პრაქტიკულად დაუშვებელია, მომიჯნავე შენობებთან მიმართებაში. არ გაითვალისწინეთ ქ.თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება #4-13 2009წ. 27 მარტი. ქ.თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ. ყოველივე ამის შემდეგ არ გაითვალისწინეთ გვერდითი შენობების და მიწის ნაკვეთების მდგომარეობა. თქვენთან დევს მხოლოდ ვიზუალური დათვარიელებით დაწერილი ტექნიკური დასკვნა გვერდითი შენობების შესახებ, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს კომპეტენტურად.

ჩვენ მოვითხოვთ არსებული სამშენებლო ნებართვის შეჩერებას და გადახედვას, რათა გაითვალისწინოთ არსებული მდგომარეობა.

ჩვენ თქვენთან ერთად მივმართავთ ქ. თბილისის საკრებულოს აღნიშნული საკითხის გადახედვასთან დაკავშირებით. ველოდებით ადეკვატურ მიდგომას საკითხისადმი, რაც არა მარტო ჩვენი არამედ მთელი ქალაქის პრობლემას წარმოედგენს.

წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეს გადასახედად თბილისის სასამართლოს გადავცემთ.

ონიაშვილის ქ. მაცხოვრებლები: